2012

CSL
კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW

ფულადი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები

ვალდებულებითი სამართალი

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსი –
– კარი მეორე –
– თავი მეორე -

ფულადი ხარჯების დაფარვის რიგითობა / სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი / ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას.

Author

ლაშა თვარაძე

სარჩევი

1. შესავალი ნაწილი „საკითხის ზოგადი მოხილვა. ფულადი ვალდებულების შესრულება, როგორც ინსტიტუტი“. (სსკ–ის წიგნი მე–3, კარი მე–2, თავი მე2) 3
2. ძირითადი ნაწილი „ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა და სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის პრინციპთან მიმართებაში“ (მუხლი 387,388) 4
3. „ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას“. (მუხლი 389) 6
4. დასკვნითი ნაწილი „შეჯამების სახით“ 9
5. გამოყენებული ლიტერატურა 11

შესავალი ნაწილი

საკითხის ზოგადი მოხილვა. ფულადი ვალდებულების შესრულება, როგორც ინსტიტუტი.

(სსკ–ის წიგნი მე–3, კარი მე–2, თავი მე2)

რიგი მიზეზებისა და განსხვავებული სპეციფიკის გამო ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში, დოქტრინასა თუ სასამართლო პრაქტიკაში ფულადი ვალდებულებები გამოყოფილია ცალკე თავად და რეგულირდება სპეციალური ნორმებით, ქართულ კანონმდებლობაშიც ის წარმოდგენილია, როგორც ცალკეული ინსტიტუტი, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან თვისობრივად მსგავს ნორმებს. ფულადი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები რიგ შემთხვევებში ეკონომიკურ ხასიათს ატარებს და დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ კონდიციაზე, გამომდინარე აქედან მათი განხილვა ეკონომიკურ პრინციპებში ღრმად ჩაუძიებლობას არ გვაპატიებს. და ვინაიდან კვლევა კეთდება იურიდიულ ჭრილში და გამოყენებული იქნება კვლევის სისტემური მეთოდი, ანუ სისტემური ანალიზი, რაც ამ შემთხვევაში ითვალისწინებს ფულად ვალდებულებასთან დაკავშირებული ნორმების კვლევას დარგობრივად სხვა ინსტიტუტებთან მიმართებაში, ფულადი ვალდებულების გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები განხილული იქნება რიგი იურიდიული ასპექტების გათვალისწინებით, ამასთან ეკონომიკური ტერმინოლოგიისა და უზოგადესი პრინციპების მოშველიებით.

ფულადი ვალდებულებები წარმოიშობა იმავე საფუძვლებიდან, რომლიდანაც წარმოიშობა სხვა ვალდებულებანი, მაგრამ თუკი სხვა ნებისმიერი ვალდებულება მისი დარღვევის შდეგად შეიძლება ტრანსფორმირებულ იქნეს ფულად ვალდებულებად (ფულადი კონფენსაციის დაკისრების გზით), თვითონ ფულადი ვალდებულება მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაშიც მაინც რჩება ფულადად, რამეთუ ვადის გადაცილებისათვის პროცენტის თუ სხვა რაიმე ხარჯის გადახდევინება წარმოადგენს დამატებით ფულად ვალდებულებას.

აღნიშნული საკითხის აქტუალურობა გამომდინარეობს მასთან დაკავშირებული რიგი პრობლემების არსებობიდან, რომლებსაც ვერც რეცეფცირების პროცესებში მიმდინარე მთარგმნელობით საქმიანობაში დაშვებულ შეცდომებს მივაწერთ და ვერც ქართულ რეალობაზე მოურგებლობას. აქ საუბარი იქნება ისეთ პრინციპებზე, რომლებიც რომანულ–გერმანული თუ ანგლო–საქსური სამართლის ქვეყნებში სამოქალაქო ურთიერთობების ფუნდამენტალურ ინსტიტუტებს წარმოადგენენ და არა რომელიღაც ქვეყნის კანონმდებლობაში გაპარულ

„ნორმატიულ ლაფსუსებს“. ეს საკითხები ფულად–ვალდებულებით ურთიერთობებში წარმოადგენენ ისეთ ინსტიტუტებს, როგორებიც არის: „ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა“, „სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი“ თუ „ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას“.

ყურადღება იქნება გამახვილებული კანონმდებლის როლზე, ერთგვარ მოვალეობებზე, რომელთა გაუთვალისწინებლობაც მიუღებელ შედეგებს იწვევს მხარეთათვის. კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ პრობლემის ერთჯერადად წარმოჩენით, ის გაჯერებული იქნება ავტორთა მოსაზრებებითაც.

ძირითადი ნაწილი

ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა და სასამართლო ხარჯების დაფარვის პრიორიტეტი ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის პრინციპთან მიმართებაში

(მუხლი 387,388)

როდესაც განვიხილავთ რომელიმე ნორმას, არ შეიძლება შემოიფარგლო მხოლოდ იმ კანონთა კრებულით, რომელშიც შედის ის. ნორმის განხილვა უნდა მოხდეს სისტემურად, იმ ნორმატიურ აქტთან ან აქტებთან მიმართებაში, რომლებიდანაც გამომდინარეობს ის, ან რომლებიც გამომდინარეობენ მისგან, სხვაგვარად სასურველი შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია. ამჯერად განხილული იქნება ს.ს.კ–ის 387–ე და 388–ე მუხლები ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის პრინციპის ჭრილში.

ს.ს.კ–ის 387–ე მუხლის პირველი ნაწილი გვხვდება ასეთი ფორმულირებით: „**თუკი მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება, და ის , რაც შესრულდა არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს**...“. კვლევის ობიექტის ხასიათიდან გამომდინარე ყურადღება სწორ კონტექსტში უნდა გამახვილდეს ამ ვალდებულების სპეციფიკურობაზე, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება არ არის საკმარისი. ერთი შეხედვით დაზარალებულ მხარედ გვევლინება კრედიტორი, მაგრამ თუკი უფრო ჩავუკვირდებით არც მოვალე იმყოფება უკეთეს მდგომარეობაში, ვინაიდან შელახულია მისი პატივი და ღირსება. მოვალე არასაკმარისად ასრულებს ვალდებულებას იმიტომ, რომ მას აღარ გააჩნია სხვა რაიმე სახსრები ფულადი ვალდებულების შესასრულებლად. ადვილად შესაძლებელია, რომ მის მიერ გადახდილი თუნდაც

არასაკმარისი თანხა იყოს მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო და მისი გადახდის შემთხვევაში მას აღარ რჩებოდეს საარსებო მინიმუმი.

საკითხის მეტი თვალსაჩინოებისათვის უნდა განიმარტოს ხელისუფლის (კანონმდებლის) როლი ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის კუთხით. სახელმწიფოს პირდაპირი პოზიტიური ვალდებულებაა დაიცვას ამ სახელმწიფოში მცხოვრები მოქალაქის თუ მოქალაქეობის არმქონის ღირსება. სახელმწიფოს მიერ ინდივიდის ღირსების დაცვაში იგულისხმება ცხოვრებისათვის მინიმალური პირობების შექმნა, მათ შორის მისი საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილება. მისთვის „საარსებო მინიმუმის ხელიდან გამოცლა“ კონკრეტული ნორმის ანდა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მეტი არაფერია თუ არა მისი ღირსების შელახვა. სწორედ საარსებო მინიმუმის ხელიდან გამოცლაა ერთ–ერთი ღირსების შემლახველი ფაქტორი ადამიანისათვის, იმ ფაქტორთა შორის, რომელთა ჩამონათვალიც არსებობს დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა მდიდარი პრაქტიკის საფუძველზე, ამ ჩამონათვალში შედის ისეთი ქმედებები, როგორებიც არის: დისკრიმინაცია, ადამიანებით ვაჭრობა, წამება, სისტემატური დამცირება და შეურაწყოფა, გამოუვალ, უიმედო მდგომარეობაში ჩაყენება და მათ შორის საარსებო მინიმუმის ხელიდან გამოცლა [1] . 387–ე მუხლის პირობებში კანონმდებელი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოვალე შესაძლებელია დარჩეს ყოველგვარი სახსრების გარეშე და ამასთან მას არ ჰქონდეს არანაირი უზრუნველყოფის საშუალება ვალის დასაფარავად.

თუკი იგივე კონტექსტში გავაგრძელებთ საუბარს, მსგავსი სპეციფიკის მატარებლად შეგვიძლია დავასახელოთ ს.ს.კ–ის 388–ე მუხლიც, რომლის თანახმადაც: „**მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები**...“. ამ მუხლის სპეციფიკა იგივეა, რაც 387–ე მუხლისა, თუმცაღა აქ საუბარია სასამართლო ხარჯების პრიორიტეტულობაზე ვალდებულების შესრულების დროს. ამ მუხლშიც, როგორც ზემოთ განხილულ მუხლში კანონმდებელი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მოვალე დარჩეს ყოველგვარი სახსრების გარეშე და „ხელიდან გამოეცალოს საარსებო მინიმუმი“.

მთელი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ კანონმდებლის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების პირობებში არ არის გათვალისწინებული მოვალისათვის საარსებო მინიმუმის გამოცლის მავნე შედეგები. მართებული იქნებოდა, ამ კონკრეტული ნორმისათვის არსებობდეს ზღვარი, რომლის მიხედვითაც დარღვევად ჩაითვლებოდა ისეთი იძულებითი აღსრულება, რომელსაც შედეგად ადამიანისათვის საარსებო მინიმუმის ხელიდან გამოცლა ექნებოდა.

[1] **საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი**–კუბლაშვილი, ხუბუა, კორკელია, იზორია. თბილისი 2005. გვ:92

ვალდებულების იძულებით აღსრულების შემდეგ მოვალეს აუცილებლად უნდა რჩებოდეს იმ რაოდენობის თანხა, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია, როგორც „საარსებო მინიმუმი“.

შეჯამებისათვის, ყოველი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387–ე და 388–ე მუხლები „ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობისა“ და „სასამართლო ხარჯების პრიორიტეტულობის“ შესახებ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თვალნათლივ ეწინააღმდეგება ადამიანის პატივისა და ღირსების საერთაშორისოდ მიღებულ პრინციპს და პასუხობს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველ მოქმედებათაგან ერთ–ერთს – „საარსებო მინიმუმის ხელიდან გამოცლას“. გამომდინარე აქედან მართებული იქნებოდა დადგეს ხსენებული ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი.

ფულადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას

(მუხლი 389)

ფულადი ვალდებულების შესრულებასთან მიმართებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ საკითხს, როგორიც არის ფულადი ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან მისი შესრულების მომენტამდე ფულის კურსის (მსყიდველობითუნარიანობის) შეცვლა, ანუ იწვევს თუ არა პარალელურად გადასახდელი ფულადი ნიშნების რაოდენობაში ცვლილებას ფულის მსყიდველობითუნარიანობაში მომხდარი ცვლილება? აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არსებობს თანამედროვე მსოფლიო სამართლებრივ სისტემებში მიღებული და უკვე დამკვიდრებული „*ნომინალიზმის პრინციპი*“, რომელიც მისი შინაარსით სრულად ჰპოვებს ასახვას ქართულ სამართლებრივ რეალობაშიც. კერძოდ ს.ს.კ–ის 389–ე მუხლში[2].

კერძოსამართლებრივი „ნომინალიზმის პრინციპი“ გულისხმობს, რომ **„მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს“**[3]. ნომინალიზმის პრინციპის არსი მისი სახელწოდებიდანაც გამომდინარეობს, სიტყვა „*ნომინალიზმი*“ წარმომდგარია სიტყვა “*ნომინალი*“–საგან, რაც ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულის რაოდენობას გულისხმობს. როგორც ვხედავთ, მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების კანონმდებლობაში ასახული ეს პრინციპი, ვალის გადახდისას ყურადღებას უთმობს არა გადასახდელი ნომინალის მსყიდველობითუნარიანობას, არამედ თავად ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას.

---

[2] სსკ–ის 389–ე მუხლი: „**თუკი გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული, ან შეიცვალა ვალუტა, მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს**...“.

[3] ზურაბ ძლიერაშვილი – ფულადი ვალდებულების გადახდის თავისებურებანი. თბილისი 2005. გვ:31.

იმისათვის, რომ პრობლემის არსს და მნიშვნელობას ჩავწვდეთ ძირეულად უნდა ვიმსჯელოთ მასზე, როგორც ინსტიტუტზე, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ასპექტებზე. ნომინალიზმის პრინციპი უძველესი პრინციპია, ჯერ კიდევ XVII საუკუნის დროინდელი, პირველად ეს პრინციპი გამოყენებულ იქნა ინგლისურ სამართალში 1604 წელს Gilbert-ისა და Brett-ის საქმეზე. ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპაში ხდებოდა ფულის გაუფასურება, გაუფასურება ახლდა ოქროს ფულის მონეტებიდან ქაღალდის ფულზე გადასვლასაც. ეს პრინციპი, რომელმაც შემდგომში ასახვა მთელი კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემაში ჰპოვა, განსაკუთრებით აქტუალური გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ – 1956 წლიდან 1964 წლამდე, როდესაც 40 კაპიტალისტურ სახელმწიფოში 50-ჯერ განხორციელდა ფულის დევალვაცია[4]. ამან ცხადია, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო საბანკო სექტორიც, სამეწარმეო სფეროც და წარმოიშვა ბევრი დავა, როგორ უნდა მომხდარიყო ვალდებულებების შესრულება. მას შემდეგ ევროპაში დადგინდა ვალდებულებების გადახდის ნორმა, რომ *„100 ფუნტი ყოველთვის უდრის 100 ფუნტს“* და არ აქვს მნიშვნელობა, ეს ასი ფუნტი რა მსყიდველობითი უნარის არის ვალის გასტუმრებისას. შესაბამისად ამისა ქართულმა კანონმდებლობამ სწორედ ეს მიდგომა გადმოიტანა შესაბამისი ურთიერთობების დასარეგულირებლად და მიიჩნია, რომ *„ლარი ყოველთვის უდრის ლარს“.*

ქართულ და არამარტო ქართულ რეალობაში ნომინალიზმის პრინციპი გაბატონებული შეხედულებისამებრ მიჩნეულია, როგორც **„სამოქალაქო ბრუნვის საჯარო წესრიგის ერთ–ერთი გამოხატულება“**[5]. მისდამი მინიჭებული ეს სტატუსი გულისხმობს, რომ თუნდაც სამოქალაქო სამართალში გაბატონებული სახელშეკრულებო თავისუფლებიდან გამომდინარე, მხარეებს შეუძლიათ თავი დააღწიონ უარყოფით შედეგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გაითვალისწინებენ ფულის კურსის შესაძლო ცვლილებას. გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში კი მხარეები რისკს თავის თავზე იღებენ. მათ მოუწევთ იმის ატანა, რომ ფასთა საერთო დონის ზრდის[6] თუ კლების[7] პირობებში, ან ერთი დაიჩაგრება, ან მეორე. აქედან გამომდინარე თუკი ნომინალიზმის პრინციპთან მიმართებაში გამოთქმულ გაბატონებულ მოსაზრებას დავუჯერებთ, სამოქალაქო ბრუნვისათვის საჯარო წესრიგის უზრუნველყოფა კრედიტორის ან მოვალის არასამართლიან მდგომარეობაში ჩაყენებასაც შეიძლება ითვალისწინებდეს, რაც აფსურდია და არ

[4] დევალვაცია: „**ეროვნული ვალუტის ერთეულში ოქროს შემცველობის ოფიციალური შემცირება ან მისი კურსის დაცემა უცხოურ ვალუტასთან შედარებით**“.

[5] ს.ს.კ–ის კომენტარი. წიგნი 3. ბ.ზოიძის კომენტარი. მუხლი 389. გვ:348.

[6] ინფლაცია: *„ეკონომიკაში ფასთა საერთო დონის ზრდა საბაზო მსყიდველობითუნარიანობის დონესთან შედარებით“.*

[7] დეფლაცია: *„ეკონომიკაში ფასთა საერთო დონის ვარდნა საბაზო მსყიდველობითუნარიანობის დონესთან შედარებით”.*

შეესაბამება ფუნდამენტალურ პრინციპებს. რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ მიუღებელი საქციელი, შეიძლება გახდეს საფუძველი ხელშეკრულების მოშლისა, მაგრამ რა უნდა მოსთხოვო მხარეს, როდესაც თავად კანონმდებელი აკეთებს ამას.

როდესაც ვახსენებთ სახელშეკრულებო თავისუფლებას და ვამბობთ, რომ ნომინალიზმის პრინციპზე აგებული სსკ–ის 389–ე მუხლი ფულადი ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისათვის მხარეებს აძლევს თავისუფალი ნების გამოვლენის შესაძლებლობას, ისიც უნდა ვთქვათ: *„მართებულია თუ არა ეს ყოველივე, ანუ მართებულია თუ არა კანონმდებლის მიერ მხარეთათვის ისეთი არჩევანის მიცემა, რომელ არჩევანთაგან ერთ–ერთი მათგანი რომელიმეს აუცილებლად არასამართლიან მდგომარეობაში ჩააყენებს?“* დავიწყოთ იმით, რომ პირის მიერ ნების გამოვლენას წინ უსწრებს ნების ჩამოყალიბება პირის აზროვნებაში, ეს პროცესი პირის აზროვნებაში გულისხმობს ნების სხვადასხვაგვარ გამოვლინებათა შორის ჭიდილს, რის შემდეგაც პირი ირჩევს კონკრეტულ გამოვლინებას და მხოლოდ ამ არჩევანის გაკეთების შემდგომ ასახავს იგი თავის ნებას ხელშეკრულებაში. ვალდებულებით ურთიერთობათა მცოდნე, ამ საკითხში გაცნობიერებულ ადამიანებს, როგორც მხარეებს, ეჭვი არ არის, რომ გათვალისწინებული ექნებათ ფასთა საერთო დონის შესაძლო მატება ან კლება და ფულადი ვალდებულების საკითხს ისე გადაწყვეტენ, რომ არცერთი უსამართლო მდგომარეობაში არ ჩავარდეს, მაგრამ რა ხდება ისეთ სიტუაციაში, როდესაც ფულად ვალდებულებით ურთიერთობაში ერთმანეთთან ფულად ვალდებულებათა ცალკეული ასპექტების არმცოდნე, გაუცნობიერებელი პირები შედიან? ასეთ პირობებში დიდია ალბათობაა იმისა, რომ მათ გონებაში მიმდინარე ნების შესაძლო გამოვლინებათა ჭიდილში არჩევანი არასწორ ნებაზე გაკეთდეს და ის აისახოს შეთანხმებაში. მოკლედ რომ ითქვას, კანონი ამის შესაძლებლობას არ უნდა უშვებდეს. კანონმდებელმა არამარტო სახელშეკრულებო თავისუფლება უნდა გაითვალისწინოს ნორმის შინაარსში, არამედ მაქსიმალურად უნდა გამორიცხოს შესაძლო შეცდომები ურთიერთობებში პირთა მიერ. კანონი უნდა უზრუნველჰყოფდეს პირთა სამართლიან თანაცხოვრებას.

389–ე მუხლის მეშვეობით კანონმდებლის მიერ მხარეთათვის საშუალების მიცემა, რომ თავად განსაზღვრონ ფულადი კურსის შეცვლის შემთხვევაში ფულადი ვალდებულების გადახდის შინაარსი, არსებითად ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპის არსს, ვინაიდან ამ შემთხვევაში სახეზე აღარ გვექნება ნომინალიზმის პრინციპზე აგებული ურთიერთობა მხარეთა შორის, გამომდინარე იქიდან, რომ ამ კონკრეტული ნორმის შინაარსი ვეღარ იქნება გათვალისწინებული მხარეთა მიერ გადახდის მომენტში.

389–ე მუხლთან მიმართებაში შეჯამებისთვის რომ ითქვას, ნომინალიზმის პრინციპი, რომელზედაც ეს მუხლი არის დაფუძნებული, ერთჯერადად სამოქალაქო–სამართლებრივი გამოყენებისათვის არის ნაკლოვანი, ვინაიდან იგი ფულადი ვალდებულების გადახდის ვადის მოსვლისას გადახდის დროს ითვალისწინებს არა ნომინალის მსყიდველობითუნარიანობას, არამედ თვითონ ნომინალს და ფულადი ნიშნების რაოდენობას. ის, რომ ფული აღებ–მიცემობის ანუ სავაჭრო ურთიერთობების განხორციელების მთავარი საშუალებაა, მიუთითებს კრედიტორის ან მოვალის უშუალო ინტერესებზე ფულადი ვალდებულების არსებობის პირობებში ან პირიქით. მათი ინტერესები მიმართულია სწორედაც ფულის გამოყენებისაკენ, რაც დამოკიდებულია მის მსყიდველობითუნარიანობაზე. არც კრედიტორის მიზანია დეფლაციის პირობებში უკვე უსარგბლო ფულის უთავბოლო გროვება (მითუმეტეს ჰიპერდეფლაციის პირობებში) და არც მოვალეს აქვს მიზნად ინფლაციის პირობებში ზედმეტი ფულის ყრა(მითუმეტეს ჰიპერიმფლაციის პირობებში). ჩვენში დამკვიდრებული ნომინალიზმის პრინციპი კი ფულად–ვალდებულებით ურთიერთობაში აუცილებლად უქადის კრედიტორს – შედარებით უსარგებლო ფულის აღებას ან მოვალეს მსყიდველობითუნარიანობის მიხედვით ნასესხებზე მეტის გადახდის ვალდებულების წარმოშობას (გააჩნია სახეზე გვექნება ინფლაცია თუ დეფლაცია).

დასკვნითი ნაწილი

შეჯამების სახით

როგორც უკვე დასაწყისში აღინიშნა, მოკლე კვლევაში განხილულ საკითხთა აქტუალურობა გამოწვეულია იმით, რომ მათში წარმოჩენილია არცთუ ძნელად დასანახი და სერიოზულობას მოკლებული ხარვეზები. ერთი შეხედვით უწყინარმა ნორმამ შესაძლებელია ინდივიდისათვის ისეთი შედგი გამოიღოს, რომ ეს ნორმა არა უწყინარად, არამედ თუნდაც ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველ დებულებად მივიჩნიოთ. კანონმდებელი ნორმის სტრუქტურის შემუშავებისას და რომელიმე ინსტიტუტის საერთო საზრისის შექმნის პროცესში არა მხოლოდ დარგობრივ, არამედ მთელს სფეროში გამოყენებად უზოგადეს პრინციპებს უნდა იღებდეს მხედველობაში, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ სამართალი დემოკრატიულ წყობილებაში არა ცალკეული ნორმების „ერთმანეთისაგან განცალკევებით“, არამედ მოქმედებს როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, ადამიანის მიერ სუბიექტური თუ ობიექტური აღქმის პროცესში ჩამოყელიბებული როგორც ფასეულობების დაცვის, ისე გამოყენების ანდა უზრუნველყოფის წესების ერთობლიობა. საზოგადოებრივი ურთიერთობების სპექტრი იმდენად დიდია და

რთული, რომ სამართლებრივი ურთიერთობების სრულყოფილად დარეგულირება შეუძლებელია, მაგრამ არსებობს ის უზოგადესი, ფუნდამენტალური პრინციპები, რომელთაც ხაზი უნდა გაესვას და კანონმდებლისათვის დარჩეს ყურადსაღებ, კონსტიტუციური მნიშვნელობის მოცულობებად.

აქ უკვე მოკლედ განხილული საკითხები უცილობლად არის კანონმდებლის მიერ ამ ყოველივეს გაუთვალისწინებლობის მაგალითი, ალბათ მისთვის სხვა უფრო მეტი ღირებულების სამართლებრივი სიკეთეც არსებობს, ვიდრე ეს არის ადამიანის პატივი და ღირსება, ან თუნდაც პირთა თანასწორუფლებიანობა და მათი და ჩაგვრის დაუშვებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **საქართველოს სამოქალაქო კოდექსი** (2011);
2. **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი** (წგნი მეორე);
3. **საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი** (წგნი მესამე);
4. **ვალდებულებითი სამართალი** – ზურაბ ახვლედიანი (გამოცემა მეორე, 1999);
5. **ფულადი ვალდებულების გადახდის თავისებურებანი** – ზურაბ ძლიერაშვილი (თბილისი, 2005)
6. **საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი** – კუბლაშვილი, ხუბუა, კორკელია, იზორია (თბილისი, 2005)
7. **NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA** (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი).
8. Major source – My mind☺.